ხელშეკრულება№91
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(სამუშაოს შესყიდვა)

ქ. ცაგერი 25 ივნისი 2012 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ცაგერის მუნიციპალიტეტი (შემდგომში- შემსყიდველი) ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მამუკა ლეთოდიანის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „კრისტალი“ (შემდგომში – მიმწოდებელი), დირექტორი: გივი სვანიძის წარმომადგენელი დარეჯან ქლიბაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ცაგერის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის სახსრებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში **სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების** შესყიდვა **(კლასიფიკატორის კოდი 45200000) გამარტივებული** შესყიდვის **საშუალებით.**

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია **სოფ.** ღუს გზების მოწყობის სამუშაოების ჩატარება.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის, ამ შემთხვევაში შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება ურთიერთშეთანხმებით განისაზღვრება 4670 (ოთხიათასექვსასსამოცდაათი) ლარის ოდენობით დღგ-ს, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ თანამედროვე სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **50 კალენდარული დღის** განმავლობაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია სოფ. ღუ.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3. შესყიდვის ობიექტის (შესრულებული სამუშაოს) მთლიანი ღირებულება დაიფარება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) დღისა.

7.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი ცაგერი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

8.3. შემსყიდველი ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ.
- წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს დეფექტური აქტში აუსახავი წუნის აღმოჩენის შესახებ.

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

- გადაუხდელობის შემთხვევაში მოსთხოვოს ანაზღაურება ყველა საჯარიმო სანქციით გამოწვეული ზარალისა სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისას.

8.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან **50 დღეში.**

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის 14 აგვისტომდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე იმ შემთხვევებში, რომლებიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-12 მუხლში.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა თვეზე(ეს პერიოდი შეიძლება შეიცვალოს მხარეების შეთანხმების საფუძველზე) მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

24257446

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ურთიერთშორის მოლაპარაკებისას ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ხოლო მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ან სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელეურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის სპეციალისტი კ. თოთაძე; ცაგერის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მთ.სპეციალისტი გ. ყურაშვილი; ცაგერის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მთ. სპეციალისტი შესყიდვების საკითხში დ. ლეთოდიანი; სოფ. ლაილაშის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის რწმუნებული- ბ. ჯინჭარაძე, საკრებულოს წევრი ი. ჩაჩხიანი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15..1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15.6. სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო–ტექნიკური პერსონალისა მუშა–მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70% უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.

16. სუბკონტრაქტორები

16.1. მიმწოდებელმა უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები.

16.2. მესამე მხარეების მიერ მიმწოდებლის წინააღმდეგ სარჩელების წამოყენების და სასამართლო პროცედურების დაწყების შემთხვევაში, შემსყიდველს მათთან დაკავშირებით არ ეკისრება არარნაირი ფინანსური პასუხისმგებლობა.

24257446

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ცაგერის მუნიციპალიტეტი

მისამართი

ქ. ცაგერი რუსთაველის ქ.№69

ს/ს. „ლიბერთი ბანკის“
ცაგერის ფილიალი
ბ/კოდი: 220 101 447
ა/ა № 52 0120172720783000
ს/კოდი: 242 574 460

მიმწოდებელი:

შ.პ.ს „ კრისტალი“ დირექტორი „გივი სვანიძე”
წარმომადგენელი „დარეჯან ქლიბაძე”
მისამართი
ცაგერი. სოფ. ჩხუტელი

ს/ს. „რესპუბლიკა ბანკი“
ქუთაისის ფილიალი
ბ/კოდი: REPLGE22
ა/ა № GE51BR0000003605058821
ს/კოდი№: 242574282

18. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:

ცაგერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

მ. ლეთოდთანი

/----------/

მიმწოდებელი:

შ.პ.ს „ კრისტალი“ დირექტორი: გივი სვანიძე
წარმომადგენელი „ დარეჯან ქლიბაძე”

დ. ქლიბაძე

/----------/